საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების ადმინისტრირება

2023

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია ... 3

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ... 5

პროგრამის მიზანი ... 8

სწავლის შედეგები ... 9

კომპეტენციების რუკა ... 80

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა ... 10

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა ... 91

პროგრამის სტრუქტურა ... 103

პროგრამის კომპონენტების განაწილების სქემა ... 113

პროგრამის სასწავლო გეგმა ... 135

სწავლების ორგანიზება ... 15

ზოგადი აღწერა ... 20

სწავლების ფორმები ... 21

სწავლის მეთოდები ... 23

შეფასების სისტემა ... 25

შეფასების კომპონენტები ... 27

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ... 28

პროგრამის დასაქმების სფერო ... 28

პროგრამის რესურსები ... 28

მატერიალური რესურსი ... 28

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება:	განათლების ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური:	მეორე საფეხური(მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Education Administration
სწავლების ენა:	ქართული
სწავლის ხანგრძლივობა:	2 აკადემიური წელი(4 სემესტრი)
პროგრამის მოცულობა:	120 კრედიტი /3000 ასტრონომიული საათი
პროგრამის ხელმძღვანელი:	ლია ანთაძე, ასისტენტ-პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, რომელიც ფლობს სახელმწიფოს მიერ დადასტურებულ შესაბამის დოკუმენტს (დიპლომს). კანდიდატი სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე მოიპოვებს ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისა და საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე. სეუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე). B2 დონის დადასტურება შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით.

პროგრამაზე კანდიდატის მიღების პირველი ეტაპია კანდიდატის შეფასება ფორმალური მოთხოვნების მიხედვით, მეორე ეტაპი მოიცავს გასაუბრებას შესარჩევ კომისიასთან.

სამაგისტრო პროგრამაზე ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე)უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეო ჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

სამაგისტრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების შემდეგ, პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და უცხო (ინგლისურ) ენაში.

სპეციალობის გამოცდის საკითხები მტკიცდება უნივერსიტეტის მიერ და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე seu.edu.ge-ზე პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის რეგისტრაციასთან ერთად

უცხო ენის (ინგლისური) გამოცდის შედეგად პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებიც გამოცდის შედეგების გათვალისიწნებით დაადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონეს ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩო-აღმწერის (CEFR) შესაბამისად.

ინგლისურენოვანი კომუნიკაციის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით

პროგრამის მიზანი

I. პროგრამის მიზანია მოამზადოს ზოგადი და უმაღლესი განათლების სფეროში: განათლების სფეროს ადმინისტრირებისა და მართვის სპეციალისტები, მენეჯერები, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლები, განათლების პოლიტიკის მკლევრები და ექსპერტები.

II. განუვითაროს ხედვა განათლების სფეროს თანამედროვე, საერთაშორისო სტანტარდებისა და განათლების სისტემის განვითარების მიმართულებით.

III. სტუდენტს განუვითაროს უნარები, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი :

I. აღწერს განათლების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სისტემის, ისტორიის, თეორიების, რეფორმებისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს;
II. განსაზღვრავს განათლების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ პრინციპებს და წარმატებული პრაქტიკის მაგალითებს;
III. კრიტიკულად იაზრებს განათლების სისტემის ძირითად გამოწვევებს, საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და ორიგინალური იდეების განსავითარებილად;
IV. ახდენს დარგის ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის დემოსტრირებას, კომპლექსური პრობლემების ახლებურად გადაჭრისას და განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი პროექტების განხორციელებისას;
V. იყენებს შესაბამის მეთოდებს მასალების შეგროვებისას, ილუსტრირებისას, ინტერპრეტირებისას, შეფასებისას, რეკომენდაციების მომზადებისას და წარდგენისას;
VI. არგუმენტირებულად მსჯელობს პროფესიულ საზოგადოებაში შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით;
VII. აანალიზებს არსებულ ინფორმაციას კრიტიკულად, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე სთავაზობს განათლების სფეროში საქმიანობის განსხვავებულ სტრატეგიებს კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით;
VIII. გეგმავს და ახორციელებს კვლევას ორიგინალური მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და კვლევის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
IX. ახდენს თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას დამოუკიდებელად, სწავლის სტრატეგიული დაგეგმვის, მოდიფიცირებისა და რეალიზების მეთოდების გამოყენებით.

კომპეტენციების რუკა

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

	სწავლის შედეგები / პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით								
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
I	პროგრამის მიზანია, მოამზადოს ზოგადი და უმაღლესი განათლების სფეროში: განათლების სფეროს ადმინისტრირებისა და მართვის სპეციალისტები, მენეჯერები, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლები, განათლების პოლიტიკის მკლევრები და ექსპერტები.	√			√	√	√			
II	განუვითაროს ხედვა განათლების სფეროს, თანამედროვე, საერთაშორისო სტანტარდების და განათლების სისტემის განვითარების მიმართულებით.		√	√				√		
III	სტუდენტს განუვითაროს უნარები, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.			√			√			√

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სასწავლო კურსები \ სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით								
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
I	განათლების სისტემები და სტრუქტურა	1	1							
II	განათლების ფსიქოლოგიის პრინციპები	1								
III	განათლების მართვა ინტერკულტურულ გარემოში	1								
IV	ლიდერობა განათლებაში: თეორია და პრაქტიკა	1	1							
V	მონიტორინგი და შეფასება განათლების სისტემაში	1								
VI	შედარებითი განათლების სამართალი	1								
VII	ზოგადი განათლების პოლიტიკა და მენეჯმენტი	2	2	2			2	2		
VIII	ფინანსების მართვა ზოგად განათლებაში	2	2	2			2	2		
IX	პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში				3	3		3	3	3
X	უმაღლესი განათლების პოლიტიკა	2	2	2			2	2		
XI	Higher Education Policy (ინგლისურ ენაზე)		2	2			2	2		
XII	განათლების ეკონომიკა და ფინანსების მართვა უმაღლეს განათლებაში	2	2	2			2	2		
XIII	პროექტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში				3	3		3	3	3

XIV	სამეცნიეო წერა				**2**	**2**				
XV	კვლევის მეთოდები განათლებაში				**3**	**3**		**3**	**3**	**3**
XVI	სამაგისტრო ნაშრომი					**3**		**3**	**3**	**3**

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სტრუქტურა საშუალებას აძლევს სტუდენტს, რომ მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს საგანმანათლებლო ორგანიზაციის გამოწვევებს. ეს გამოწვევები უკავშირდება საგანმანათლებლო დაწესებულების ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებას, მმართველობითი და ეკონომიკური საქმიანობის ოპტიმიზაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ამაღლებასა თანამედროვე მეთოდოლოგიური სტანდარტებისა და მმართველობითი სტილის დანერგვას, რაც საგანმანათლებლო სისტემის ინოვაციებისკენ სწრაფვას განაპირობებს.

პროგრამა აგებულია ECTS პრინციპის საფუძველზე და სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროფილის ფორმირების, სასწავლო პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას ითვალისწინებს. ბაზისური სავალდებულო სასწავლო დისციპლინები ითვალისწინებენ სტუდენტისთვის განათლების სფეროში მმართველობითი საქმიანობის განხორციელების ძირითადი უნარების განვითარებას, არჩევითი სასწავლო დისციპლინებით უზრუნველყოფილია განათლების სფეროს მართვასთან დაკავშირებული მომიჯნავე დარგების (პედაგოგიკასა და განათლების ფსიქოლოგიისგან დაწყებული მეცნიერების მართვისა და პროექტის ადმინისტრირებით დასრულებული) სიღრმისეული შესწავლა, პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს პროექტის შესრულებას საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას.

პროგრამის კომპონენტების განაწილების სქემა

მოდული / კოდი		სტატუსი / ECTS კრედიტი		მოდულის / ბლოკის აღწერა
სასწავლო კომპონენტი	A	სავალდებულო	36	ბლოკი ითვალისწინებს განათლების ადმინისტრირების ამოსავალი სასწავლო კურსების სავალდებულოდ, ხოლო ცალკეული კურსების - არჩევითის სტატუსით შეთავაზებას, ინდივიდუალური აკადემიური პროფილის ფორმირებისთვის.
	B	არჩევითი	12	
	C	კონცენტრაცია	24	სტუდენტი ირჩევს სასურველი კონცენტრაციიდან (ზოგადი ან უმაღლესი განათლება) არანაკლებ 24 კრედიტს (12 კრედიტი სავალდებულო და 12 არჩევითი), და ახდენს საკუთარი პროფილის სპეციალიზაციას აღნიშნული მიმართულებით. არჩეული კონცენტრაცია წარმოადგენს შესაბამისი პრაქტიკული პროექტის არჩევის წინაპირობას.
პრაქტიკული კომპონენტი	D	პროექტი	12	პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს რეალური კომპანიის განათლების ადმინისტრირების კურთხით შესწავლას და განათლების ადმინისტრირების განვითარებაზე საკონსულტაციო პროექტის მომზადებას
კვლევითი კომპონენტი	F	სასწავლო კურსები	12	კვლევითი კომპონენტი მოიცავს სტუდენტისთვის აუცილებელი დარგის კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას, სტუდენტის კვლევითი უნარების გაღრმავებას და დასკვნით სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას
	G	სამაგისტრო ნაშრომი	24	
		სულ	120	

პროგრამის სასწავლო კომპონენტების განაწილების სქემა					
სამაგისტრო პროგრამის კომპონენტი	სემესტრი კომპონენტის მოცულობა	I	II	III	IV
სპეციალობის სავალდებულო	36	18	12	6	

სპეციალობის არჩევითი	12	6			6
კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსი	12		12		
კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსი	12			12	
პრაქტიკული პროექტი (კონცენტრაციის შესაბამისად)	12			12	
კვლევითი სასწავლო კურსები	12	6	6		
სამაგისტრო ნაშრომი	24				24
ჯამი:	120	30	30	30	30

პროგრამის სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება/	ECTS	სულ სათები	წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა									კრედიტების სემესტრული განაწილება			
					სათები												
					ლექცია	სემინარი ჯგუფში მუშ.	პრაქტიკული მეცადინეობა	საწარმოო პრაქტიკა	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა	შუალედური შეფ.	დასკვნითი შეფ.	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV
სასწავლო კომპონენტი		**48**		*სტუდენტი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გადის სასწავლო კომპონენტს პროგრამის სავალდებულო (36 კრედიტი) არჩევითი კონცენტრაციის (არანაკლებ 24 – 12+12 კრედიტი) და არჩევითი (12 კრედიტი) კომპონენტებიდან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წესით* *დასაშვებია კონცენტრაციიდან დამატებითი სასწავლო დისციპლინების გავლა არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ხარჯზე*													
სავალდებულო სასწავლო კურსები		**36**	**900**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების ოდენობა:**										**18**	**12**	**6**	
1	განათლების სისტემები და სტრუქტურა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	1	2	28	122	**6**			
2	განათლების ფსიქოლოგიის პრინციპები	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120	**6**			
3	განათლების მართვა ინტერკულტურულ გარემოში	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120	**6**			
4	ლიდერობა განათლებაში: თეორია და პრაქტიკა	**6**	**150**	განათლების მართვა ინტერკულტ	26	12	-	-	-	2	3	43	107		**6**		

				ურულ გარემოში													
5	მონიტორინგი და შეფასება განათლების სისტემაში	6	150	განათლების სისტემები და სტრუქტურა	13	24	-	-	-	2	3	42	108		6		
6	შედარებითი განათლების სამართალი	6	150	განათლების სისტემები და სტრუქტურა	13	12	-	-	-	2	3	30	120			6	
	არჩევითი სასწავლო კურსები	12	300	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტები:**										6			6
1.	განათლებისა და პედაგოგიკის ისტორია	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120	6			6
2.	ტრანსფორმაციული ქოუჩინგი	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
3.	მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზი SPSS გამოყენებით	6	150	არ აქვს	13	24	-	-	-	2	3	42	108				
4.	ტრენინგის მართვის ტექნოლოგიები	6	150	არ აქვს	13	24	-	-	-	2	3	42	108				
5.	კომუნიკაციები და მოლაპარაკებები მულტიკულტურულ კონტექსტში	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
6.	განათლების ფილოსოფია	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
7.	ჯგუფის რესურსების მობილიზება და მართვა	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
8.	განათლების სოციოლოგია	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
9.	გენდერი:თეორია და პრაქტიკა განათლებაში	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
10.	ადამიანური რესურსების მართვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				

11.	პროექტების წერა და მენეჯმენტი(ლოგიკური ჩარჩოს მოდელი-LFA)	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
12.	კარიერული განათლება და პროფესიული ორიენტაცია	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
13.	მეცნიერების მენეჯმენტი	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
14.	ფონდების მოზიდვა(Fundraising)და მართვა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
15.	საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტი	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
16.	ელექტრონული მმართველობა და საინფორმაციო უსაფრთხოება	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
17.	კრეატიული აზროვნების მეთოდები	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
18.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
19.	ინკლუზიური განათლების პოლიტიკა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
არჩევითი კონცენტრაცია		*სტუდენტი ირჩევს სასურველი კონცენტრაციიდან (ზოგადი ან უმაღლესი განათლება) არანაკლებ 24 კრედიტს (12 ECTS სავალდებულოდ და 12 ECTS არჩევით) და ახდენს საკუთარი პროფილის სპეციალიზაციას აღნიშნული მიმართულებით. არჩეული კონცენტრაცია წარმოადგენს შესაბამისი პრაქტიკული პროექტის არჩევის წინაპირობას დასაშვებია კონცენტრაციის სხვა სასწავლო დისციპლინების არჩევა არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ხარჯზე*															
კომპონენტი - ზოგადი განათლება		**60**	**1500**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:**											**12**		
სავალდებულო		**12**	**300**														
1	ზოგადი განათლების პოლიტიკა და მენეჯმენტი	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120		6		
2	ფინანსების მართვა ზოგად განათლებაში	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120		6		

	არჩევითი	**12**	**300**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:**												**12**	
3	ეროვნული სასწავლო გეგმა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
4	ბავშვობის ინტერდისციპლინარული კვლევები	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
5	სკოლამდელი განათლების პოლიტიკა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
6	პროფესიული ეთიკა ზოგად განათლებაში	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
7	ინტელექტუალური დარღვევეის მქონე მოსწავლეთა განათლება	**3**	**75**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	45				
8	ბავშვისა და მოზარდის კოგნიტური განვითარება	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
9	ინკლუზიური განათლების საფუძვლები	**3**	**75**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	45				
10	მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლა:მოდელი,პრაქტიკა,ინსტრუმენტები	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
პრაქტიკული კომპონენტი (პროექტი)		**12**	**300**	წინაპირობა: I-II სემესტრის სპეციალობის სავალდებულო კურსების გავლა და შესაბამისი კონცენტრაციის არჩევა													
				შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:												**12**	
	საკონსულტაციო პროექტი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში	12	300	განათლების სისტემები და სტრუქტურა	13	24				2	3	42	258			**12**	
სამაგისტრო ნაშრომი		**24**	**600**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**													
	სამაგისტრო ნაშრომი-კონცენტრაცია ზოგადი განათლება	24	600	სამეცნიერო წერა,განათლების სისტემები და	-	-	-	-	-	-	-	-	-				

				სტრუქტურა, ზოგადი განათლების პოლიტიკა და მენეჯმენტი, ფინანსების მართვა ზოგად განათლებაში, კვლევის მეთოდები განათლებაში													
კომპონენტი - უმაღლესი განათლება		**60**	**1500**														
სავალდებულო		**12**	**300**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:**											**12**		
1	უმაღლესი განათლების პოლიტიკა Higher Education Policy (ინგლისურ ენაზე)	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120		**6**		
2	განათლების ეკონომიკა და ფინანსების მართვა უმაღლეს განათლებაში	6	150	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120		**6**		
არჩევითი		**12**	**300**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:**												**12**	
3	ზრდასრულთა განათლება	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
4	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მონიტორინგი	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
5	კურსდამთავრებულთა რესურსის მართვა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
6	უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
7	გლობალიზაციის გავლენა უმაღლეს განათლებაზე	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				

8	ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
9	უმაღლესი განათლება მდგრადი განვითარებისათვის	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
10	უმაღლესი განათლების კურიკულუმის განვითარება	**6**	**150**	არ აქვს	12	13	-	-	-	2	3	30	120				
11	ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს სკოლაში	**6**	**150**	არ აქვს	12	13	-	-	-	2	3	30	120				
12	პროფესიული განათლების პოლიტიკა	**6**	**150**	არ აქვს	13	12	-	-	-	2	3	30	120				
პრაქტიკული კომპონენტი (პროექტი)		**12**	**300**	წინაპირობა: I-II სემესტრის სპეციალობის სავალდებულო კურსების გავლა და შესაბამისი კონცენტრაციის არჩევა													
				შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:												12	
1	საკონსულტაციო პროექტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში	**12**	**300**	განათლების სისტემები და სტრუქტურა, უმაღლესი განათლების პოლიტიკა	13	24				2	3	42	258			**12**	
სამაგისტრო ნაშრომი		24	600	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**													
1	სამაგისტრო ნაშრომი-კონცენტრაცია უმაღლესი განათლება	**24**	**600**	სამეცნიერო წერა,განათლების სისტემები და სტრუქტურა, უმაღლესი განათლების პოლიტიკა,განათლების ეკონომიკა და	-	-	-	-	-	-	-	-	-				

				ფინანსების მართვა უმაღლეს განათლებაში, კვლევის მეთოდები განათლებაში													
კვლევითი კომპონენტის სასწავლო კურსები		**12**	**300**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**										**6**	**6**		
1	სამეცნიეო წერა	**6**	**150**	არ აქვს	13	24	-	-	-	2	3	42	108	**6**			
2	კვლევის მეთოდები განათლებაში	6	150	არ აქვს	13	24	-	-	-	2	3	42	108		**6**		
		120															

სწავლების ორგანიზება

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი) და ითვალისწინებს 120 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 3000 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგისა და მიზნების მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. აკადემიური (გაზაფხულის და შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებლ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის შესრულებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს ლექტორი.

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

შემთხვევების შესწავლა (Case study) – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უნვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს

საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხის დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

საკონსულტაციო პროექტი - სამუშაო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალური ორგანიზაციული პროექტის ფარგლებში გამოიყენოს სწავლის განმავლობაში შეძენილი ცოდნა და უნარ- ჩვევები.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 11 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 12 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ის მრავალკომპონენტიანია.

ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი: შუალედური შეფასება - 60 ქულა და დასკვნითი შეფასება - 40 ქულა. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა აუცილებელია აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ სწავლების მესამე საფეხურზე, დოქტორანტურაში როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტეტებში განათლების მიმართულების, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით - ინტერდისციპლინარული (განათლება და ფინანსები, განათლება და მენეჯმენტი, განათლება და გენდერი და სხვა) სადოქტორო პროგრამაზე.

პროგრამის დასაქმების სფერო

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრირების საშუალო და მაღალი რგოლის პოზიციებზე (საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო დარგობრივი უწყებების პოზიციებზე, განათლების პოლიტიკის კვლევით დაკავებულ ორგანიზაციებში და სხვა).

მატერიალური რესურსი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას: საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს გააჩნია განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, თანამედროვე აკადემიური სტანდარტებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისა და განმტკიცებისათვის,

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული/ელექტრონული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები და სხვ.

პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

პროგრამის პარტნიორები

- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართალის სახელობის თბილისის სკოლა
- აიბი მთიები
- სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია
- სსიპ 118-ე საჯარო სკოლა
- სსიპ დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადა
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროსკარის საჯარო სკოლა

- სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ რუსთავის №16 საჯარო სკოლა
- სსიპ ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის 87-ე საჯარო სკოლა
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ რუსთავის №1 საჯარო სკოლა
- სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლა
- სსიპ ქალაქ რუსთავის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 24-ე ქართული გიმნაზია
- სსიპ ქალაქ რუსთავის მე-18 საჯარო სკოლა
- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანის საჯარო სკოლა
- სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილის 52-ე საჯარო სკოლა
- ქალაქ თბილისის 141-ე საჯარო სკოლა
- შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი
- შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი
- შპს თბილისის მწვანე სკოლა
- შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია
- შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინო
- შპს ინტელექტი-XXI
- შპს კერძო სკოლა ინტელექტი
- შპს მეექვსე საავტორო სკოლა
- შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა
- შპს პოლიგლოტი
- შპს სკოლა ლიცეუმი სხივი
- შპს ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი
- შპს წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა